პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

ახალგაზრდა
სტალინელი

ი. ვ. სტალინის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის პარტიული კომიტეტის, რექტორატის, კომკავშირის კომიტეტისა და პროფკომის ორგანო

Ахалгазрда Сталинели — орган парткома, ректората, комитета ЛКСМ и профкома Тбилисского государственного университета имени И. В. СТАЛИНА

გამოცემის მეექვსე წელი

№ 14 (186)
ოთხშაბათი
24
აპრილი,
1957 წ.
ფასი 20 კაპ.

სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოსთან არსებული მეცნიერებისა და ტექნიკის დარგის ლენინური პრემიების კომიტეტში

მეცნიერებისა და ტექნიკის დარგის ყველაზე თვალსაჩინო ნაშრომებისათვის ლენინური პრემიების მინიჭების შესახებ

მეცნიერებისა და ტექნიკის დარგის ლენინური პრემიების კომიტეტმა **დაადგინა:**

I.

მიენიჭოთ 1957 წლის ლენინური პრემიები ყველაზე თვალსაჩინო ნაშრომებისათვის მეცნიერების დარგში:

1. **ზავოისკის** ევგენი კონსტანტინეს-ძეს, სსრ კავშირის მეცნიერებათა აკადემიის წევრ-კორესპონდენტს, — პარამაგნიტური რეზონანსის აღმოჩენისა და შესწავლისათვის.

2. **ნოვიკოვს** პეტრე სერგის-ძეს, სსრ კავშირის მეცნიერებათა აკადემიის წევრ-კორესპონდენტს, — მეცნიერული შრომისათვის „სიტყვათა იგივეობის პრობლემის ალგორითმული ამოუხსნადობის შესახებ ჯგუფების „თეორიაში", რომელიც გამოქვეყნდა 1955 წელს.

3. **ნალივკინს** დიმიტრი ვასილის-ძეს, აკადემიკოსს, — სსრ კავშირის 1956 წელს გამოქვეყნებული 1:2.500.000 მასშტაბის გეოლოგიური რუკის შედგენის მეცნიერული ხელმძღვანელობისათვის.

4. **დოგელს** ვალენტინ ალექსანდრეს-ძეს — მეცნიერული შრომისათვის „ზოგადი პროტისტოლოგია", რომელიც გამოქვეყნდა 1951 წელს.

5. **სკრიაბინს** კონსტანტინე ივანეს-ძეს, აკადემიკოსს, — მეცნიერული შრომისათვის „ცხოველთა და ადამიანის ტრემატოდები", რომელიც 12 ტომად გამოქვეყნდა 1947-1956 წლებში.

6. **მელიქიშვილს** გიორგი ალექსანდრეს-ძეს, პროფესორს, — 1954 წელს გამოქვეყნებული გამოკვლევებისათვის ამიერკავკასიის ხალხთა ძველი ისტორიის დარგში, რომლებიც ჩამოყალიბებულია შრომებში „ნაირი-ურარტუ" და „ურარტულ ლურსმული წარწერები".

7. **შიშმარევს** ვლადიმერ თევდორეს-ძეს, აკადემიკოსს, — 1952-1955 წლებში გამოქვეყნებული გამოკვლევებისათვის რომანული ფილოლოგიის დარგში, რომლებიც ჩამოყალიბებულია შრომებში „ფრანგული ენის ისტორიული მორფოლოგია", „ფრანგული ენის ისტორიის საკითხავი წიგნი" და „ძველფრანგული ენის ლექსიკონი „ფრანგული ენის ისტორიის საკითხავი წიგნისათვის".

II.

მიენიჭოთ 1957 წლის ლენინური პრემიები ყველაზე თვალსაჩინო ნაშრომებისათვის ტექნიკის დარგში:

1. **ტუპოლევს** ანდრია ნიკოლოზის-ძეს, აკადემიკოსს, საავიაციო მრეწველობის გენერალურ კონსტრუქტორს, — ჩქაროსნული რეაქტიული სამგზავრო თვითმფრინავის ტუ-104-ის შექმნისათვის.

2. **ვოლჩკოვს** ნიკოლოზ აკიმის-ძეს, ჩარხმშენებელი და საინსტრუმენტო მრეწველობის სამინისტროს სპეციალური საკონსტრუქტორო ბიუროს მთავარ კონსტრუქტორს, **ვლასოვს** სერაფიმ ნიკოლოზის-ძეს, პროექტის მთავარ კონსტრუქტორს, **ნიკოლსკის** ალექსი პავლეს-ძეს, განყოფილების უფროსის მოადგილეს, **გონჩაროვს** ვლადიმერ ეგნატეს-ძეს, წამყვან კონსტრუქტორს, **სოლოვეიჩიკს** იაკობ სამუელის-ძეს, განყოფილების უფროსის მოადგილეს, იმავე ბიუროს მუშაკებს, **ბობროვს** ვიქტორ პავლეს-ძეს, ჩარხმშენებელი და საინსტრუმენტო მრეწველობის სამინისტროს ლითონსაჭრელი ჩარხების საექსპერიმენტო სამეცნიერო-საკვლევო ინსტიტუტის უფროს მეცნიერ თანამშრომელს, **გრომოვს** ანატოლი ალექსანდრეს-ძეს, ლ. მ. კაგანოვიჩის სახელობის პირველი სახელმწიფო საკისართა ქარხნის ყოფილ მთავარ ინჟინერს, **კოპანევიჩს** ნიკოლოზ ექვთიმეს-ძეს, ჩარხმშენებელი და საინსტრუმენტო მრეწველობის სამინისტროს ურთიერთშეცვლადობის ბიუროს წამყვან კონსტრუქტორს, — მასობრივ საკისართა წარმოების კომპლექსური ავტომატური საამქროს შექმნისათვის ლ. მ. კაგანოვიჩის სახელობის პირველ სახელმწიფო საკისართა ქარხანაში.

3. **ვოლოშკევიჩს** გიორგი ზოსიმეს-ძეს, უკრაინის სსრ მეცნიერებათა აკადემიის ე. ო. პატონის სახელობის ელექტროშედუღების ინსტიტუტის უფროს მეცნიერ თანამშრომელს, **პატონს** ბორის ევგენის-ძეს, იმავე ინსტიტუტის დირექტორს, **ბუზინკოს** ივანე გიორგის-ძეს, **დავიდენკოს** ილია დანიელის-ძეს, მძიმე მანქანათმშენებლობის სამინისტროს ქარხანა „კრასნი კოტელშჩიკის" შედუღების განყოფილების უფროსს, **რადჩენკოს** ვასილ გრიგოლის-ძეს, იმავე ქარხნის საამქროს უფროსის ყოფილ მოადგილეს, — ელექტროწიდის შედუღების შექმნისა და მძიმე მანქანათმშენებლობაში დანერგვისათვის.

4. **იოანისიანს** ბაგრატ კონსტანტინეს-ძეს, ს. ი. ვავილოვის სახელობის სახელმწიფო ოპტიკური ინსტიტუტის წამყვან კონსტრუქტორს, — ახალ ასტრონომიულ ინსტრუმენტთა კონსტრუქციის შემუშავებისათვის.

5. **ტალმუდს** იზრაილ ლევის-ძეს, სსრ კავშირის ფერადი მეტალურგიის სამინისტროს ვოლხოვის ს. მ. კიროვის სახელობის ალუმინის ქარხნის დირექტორს, მუშაობის ხელმძღვანელს, **ზახარჟევსკის** ოლეგ ნიკოლოზის-ძეს, საამქროს უფროსს, **პოჩივალოვს** ვლადიმერ პეტრეს-ძეს, მთავარ ინჟინერს, იმავე ქარხნის

(დასასრული იხ. მე-2 გვ.).

ვ. ი. ლენინის ძეგლის საზეიმო გახსნა სოფელ კაშინოში

მოსკოვის ოლქის სოფელი კაშინო, რომელიც გაშენებულია ვოლოკოლამსკის გზატკეცილის ახლოს, სამუდამოდ შევიდა ჩვენი სოციალისტური სამშობლოს ისტორიაში, როგორც „ილიჩის ნათურის" სამშობლო. ჯერ კიდევ მიმდინარეობდა გააფთრებული ომი საბჭოთა ხელისუფლებისათვის, ინტერვენტებისა და თეთრგვარდიელების წინააღმდეგ. ჯერ კიდევ მძვინვარებდა ჩვენს ქვეყანაში შიმშილი, გაჭირვება და ნგრევა, და ამავე დროს მუშათა კლასი და მშრომელი გლეხობა კომუნისტური პარტიის ხელმძღვანელობით პოულობდა ძალებს სახალხო მეურნეობის აღსადგენად. იმ დღეებში მოსკოვის გუბერნიის ვოლოკოლამსკის მაზრის სოფელ კაშინოს გლეხებმა ერთად ააშენეს პატარა ელექტროსადგური — პირველი სასოფლო ელექტროსადგური ჩვენს ქვეყანაში. ამაში მათ დაეხმარა ვ. ი. ლენინი.

1920 წლის 14 ნოემბერს დიდი ბელადი ჩავიდა კაშინოელ გლეხთა დღესასწაულზე — ელექტროსადგურის გახსნაზე. აქ იგი გულითადად ესაუბრა გლეხებს, შემდეგ გამოვიდა მიტინგზე. ამ ისტორიული მოვლენის აღსანიშნავად კვირას, 21 აპრილს, ვლადიმერ ილიას-ძის დაბადების 87-ე წლისთავის წინადღეს კაშინოში გაიხსნა მისი ძეგლი.

კაშინო მორთულია სადღესასწაულოდ: წითელი ქსოვილებით, ალმებით, მწვანე წიწვოვანი მცენარეებით, კომუნისტური პარტიისა და საბჭოთა მთავრობის ხელმძღვანელთა პორტრეტებით. სოფლის ცენტრში აღმართულია თეთრი ქსოვილით დაფარული შვიდმეტრიანი მონუმენტი.

21 აპრილს დილიდანვე სოფელში იკრიბებოდნენ ყველა ახლომახლო სოფლების კოლმეურნეები, აგრეთვე მეზობელი რაიონების მშრომელთა წარმომადგენლები და ქალაქ მოსკოვის შეფი საწარმოების მუშები. კაშინოელთა თხოვნით მათ ესტუმრა საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველი მდივანი ნიკიტა სერგის-ძე ხრუშჩოვი.

დღის 12 საათზე დაიწყო მიტინგი. იმპროვიზებულ ტრიბუნაზე ადიან ამხ. ნ. ს. ხრუშჩოვი, პარტიის მოსკოვის საოლქო კომიტეტისა და მოსკოვის საოლქო აღმასკომის ხელმძღვანელები, რაიონული ორგანიზაციების მუშაკები, საკოლმეურნეო სოფლის წარჩინებული ადამიანები. ტრიბუნაზე მათ გამოჩენას დამსწრენი მქუხარე ტაშით ხვდებიან.

მიტინგი მოკლე შესავალი სიტყვით გახსნა კაშინოს კოლმეურნეობის „ილიჩის გზის" თავმჯდომარემ ნ. მ. კორობანოვმა. გაისმა „ინტერნაციონალი". ართელის უხუცესმა კოლმეურნეებმა — ვლადიმერ ილიას-ძესთან ისტორიული შეხვედრის მონაწილეებმა — ი. ს. ოშმარინმა და ტ. ტ. როდიონოვამ მოხსნეს მონუმენტს თეთრი საბურველი. შეკრებილებმა დაინახეს დიდი ბელადის ბრინჯაოს ქანდაკება. გაისმა მქუხარე ტაში.

საზეიმო მიტინგზე გამოვიდნენ აგრეთვე კოლმეურნეები ე. ი. მალოფეევა, ი. პ. ხრენოვი, ე. ნ. ბარინოვა, ნ. პ. დემიდოვა, პარტიის ვოლოკოლამსკის რაიკომის მდივანი ნ. ი. ზავიალოვი. მათ ილაპარაკეს ლენინური იდეების გამარჯვებაზე, რომლებსაც საბჭოთა ხალხი ახორციელებს კომუნისტური პარტიის ხელმძღვანელობით. ამასთან განაცხადეს, რომ კვლავაც მთელ თავიანთ ძალღონეს მოახმარენ ჩვენს ქვეყანაში კომუნიზმის მშენებლობის საქმეს.

დასასრულ ვრცელი სიტყვა წარმოთქვა საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველმა მდივანმა ამხ. ნ. ს. ხრუშჩოვმა, რომელსაც შეკრებილნი გულთბილად შეხვდნენ. (საქინფორმი).



ლენინის დროშა უძლეველია

მთელი საბჭოთა ხალხი, მსოფლიოს პროგრესული კაცობრიობა უდიდესი ზეიმით აღნიშნავენ საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის დამაარსებლის, მსოფლიოში პირველი სოციალისტური სახელმწიფოს შემქმნელის, მსოფლიოს პროლეტარიატისა და ყველა მშრომელის დიდი ბელადისა და მასწავლებლის ვლადიმერ ილიას-ძე ლენინის დაბადების 87-ე წლისთავს.

ლენინის ცხოვრება და მოღვაწეობა განუყოფლადაა დაკავშირებული კომუნისტური პარტიის მოღვაწეობასთან. ლენინმა ჩვენს პარტიას დაუსახა ნათელი მიზნები და წინ წაუძღვა ამ მიზნების განხორციელებისათვის ბრძოლაში. ლენინმა კომუნისტური პარტია მიიჩნია პროლეტარიატისა და მშრომელი გლეხობის დიად მაორგანიზებელ და წარმმართველ ძალად, ყველა მშრომელის ხელმძღვანელად და ბელადად—ახალი, კომუნისტური საზოგადოებრივი წყობილებისათვის ბრძოლაში.

ლენინმა, როგორც მარქსიზმის უდიდესმა თეორეტიკოსმა, ისტორიაში პირველმა ჩამოაყალიბა და ღრმა მეცნიერულად დაამუშავა პარტიის იდეოლოგიური, ორგანიზაციული, ტაქტიკური, პოლიტიკური და ფილოსოფიური საფუძვლები.

ლენინმა დაიცვა და ყოველმხრივ განავითარა მარქსისა და ენგელსის მოძღვრება ახალ პირობებში — იმპერიალიზმისა და პროლეტარული რევოლუციების ეპოქაში. იგი მთელი თავისი სიძლიერითა და პირდაპირობით ამათრახებდა ყველა იმას, ვინც ცდილობდა მარქსიზმის იდეები შეეცვალა ბურჟუაზიული იდეებით, ვინც სიტყვით მარქსიზმის მომხრედ აცხადებდა თავს, საქმით კი ღალატობდა ამ მოძღვრებას. ლენინის მთელი მოღვაწეობა გაჟღენთილია რევიზიონიზმისა და ოპორტუნიზმის წინააღმდეგ შეურიგებელი ბრძოლის სულისკვეთებით.

ლენინის მეთაურობით და მის მიერ გამოწრთობილი კომუნისტური პარტიის ხელმძღვანელობით რუსეთის პროლეტარიატმა და მშრომელმა გლეხობამ 1917 წ. ოქტომბერში მოიპოვეს მსოფლიო-ისტორიული გამარჯვება — დაამხეს კაპიტალიზმი და დაამყარეს პროლეტარიატის დიქტატურა.

ლენინმა არა მარტო შექმნა მოძღვრება ერთ ქვეყანაში სოციალისტური რევოლუციის გამარჯვების შესახებ, არამედ მანვე შეიმუშავა დიადი გეგმა ჩვენს ქვეყანაში — საბჭოთა კავშირში — სოციალიზმისა და კომუნიზმის აშენების შესახებ.

საბჭოთა ხალხმა კომუნისტური პარტიის ხელმძღვანელობით უმოკლეს ვადაში ააშენა სოციალიზმი და ამჟამად XX ყრილობის ისტორიულ გადაწყვეტილებათა შესაბამისად სოციალიზმიდან კომუნიზმში თანდათანობით გადასვლის გზით წარმატებით აშენებს კომუნისტურ საზოგადოებას.

ისეთი მსოფლიო-ისტორიული მოვლენები, როგორიცაა სოციალიზმის მშენებელი სახალხო დემოკრატიული ქვეყნების შექმნა ევროპასა და აზიაში, სოციალიზმის მსოფლიო სისტემის წარმოშობა, დემოკრატიისა და სოციალიზმის მძლავრი ბანაკის შექმნა და მისი შემდგომი განვითარება მოწმობენ ლენინიზმის უკვდავი მოძღვრების უძლეველობას.

ლენინის მოძღვრება ყოვლისშემძლეა. ამ მოძღვრებით შეიარაღებული კომუნისტური და მუშათა პარტიების ხელმძღვანელობით კაპიტალისტური ქვეყნების პროლეტარიატი და მშრომელი გლეხობა თავს გაითავისუფლებენ კაპიტალის უღლისაგან და დაადგებიან სოციალიზმის გზას.

ლენინიზმის დროშით, კომუნისტური პარტიის ხელმძღვანელობით საბჭოთა ხალხმა მოიპოვა მსოფლიო-ისტორიული გამარჯვება—ააშენა სოციალიზმი. ლენინიზმის დროშით კომუნისტური პარტიის ხელმძღვანელობით, საბჭოთა ხალხი აშენებს კომუნიზმს.

საზეიმო სხდომა

20 აპრილს, საღამოს 7 საათზე უნივერსიტეტის სააქტო დარბაზში შედგა საზეიმო სხდომა, მიძღვნილი დიდი ლენინის დაბადების 87-ე წლისთავისადმი. სხდომა გახსნა უნივერსიტეტის პროფკომის თავმჯდომარემ ამხ. ნ. შველიძემ.

მოხსენება ვ. ი. ლენინის დაბადების 87-ე წლისთავის შესახებ წაიკითხა დოც. გ. გვიშიანმა.

საზეიმო სხდომის დასასრულს ნაჩვენები იქნა მხატვრული კინოფილმი — „ლენინი ოქტომბერში".

სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოსთან არსებული მეცნიერებისა და ტექნიკის დარგის ლენინური პრემიების კომიტეტში

მეცნიერებისა და ტექნიკის დარგის ყველაზე თვალსაჩინო ნაშრომებისათვის ლენინური პრემიების მინიჭების შესახებ

(დასასრული)

მუშაკებს, ვლადაგეცს ნიკოლოზ ივანეს-ძეს, სსრ კავშირის მეცნიერებათა აკადემიის იშვიათ ელემენტთა მინერალოგიისა და გეოქიმიის ლაბორატორიის უფროს მეცნიერ თანამშრომელს, კროჩეცკის ვლადისლავ იდოლფის-ძეს, სსრ კავშირის ფერადი მეტალურგიის სამინისტროს ალუმინის საპროექტო სახელმწიფო ინსტიტუტის მთავარი დამპროექტებელი ინჟინრის მოადგილეს, ხტროკოვს თევდორე ნიკოლოზის-ძეს, — ნეფელინის ნედლეულის თიხამიწად, სოდის პროდუქტებად და ცემენტად კომპლექსური გადამუშავების მეთოდის შემუშავებისა და სამრეწველო ათვისებისათვის.

6. დავიდოვს მიხეილ პროკოფის-ძეს, უკრაინის სსრ ქვანახშირის მრეწველობის საწარმოთა მშენებლობის სამინისტროს სტალინის შახტამშენებელი ტრესტის ყოფილ მმართველს, სამუშაოს ხელმძღვანელს, გორელოვს პეტრე ივანეს-ძეს, ტრესტის მთავარი ინჟინრის მოადგილეს, პოლიაჩენკოს ივანე ვასილის-ძეს, გვირაბგამყვანთა ბრიგადირს, ხტოიცს ილია ხტეფანეს-ძეს, გვირაბგამყვანის ყოფილ უფროსს, თურქიანს რადი არშენაკის-ძეს, ტრესტის მთავარ ინჟინერს, გოლუბოვს სვიატოსლავ ვლადიმერის-ძეს, სტალინის შახტამშენებლობის კომბინატის ყოფილ მთავარ ინჟინერს, — შახტების ვერტიკალური ჰაერების გაყვანის მეთოდების გაუმჯობესებისათვის.

7. ბუროვს ალექსანდრე პეტრეს-ძეს, სსრ კავშირის გეოლოგიისა და წიაღთა დაცვის სამინისტროს განყოფილების უფროსის მოადგილეს, სამუშაოს ხელმძღვანელს, ბელოვს ვლადიმერ ბორისის-ძეს, ფაინშტეინს გრიგოლ ხაიმის-ძეს, შრუკინს ვლადიმერ ნიკოლოზის-ძეს, პარტიათა უფროს გეოლოგებს, ხაბარდინს იური ივანეს-ძეს, სამუშაოს მწარმოებელს — პარტიის გეოლოგს, იურკევიჩს როსტისლავ კონსტანტინეს-ძეს ექსპედიციის მთავარ გეოლოგს, — იაკუტიის ასს რესპუბლიკაში ალმასის სამრეწველო საბადოს აღმოჩენისათვის.

8. ბატიშჩევ-ტარასოვს სტეფანე დიმიტრის-ძეს, ქესტანის გეოლოგიურ-საძიებო ტრესტის მთავარ ინჟინერს, ტომარკოვს დიმიტრი დიმიტრის-ძეს, იმავე ტრესტის მთავარ გეოლოგს, გორიუნოვს სერგი ვასილის-ძეს, ურალის გეოლოგიური სამმართველოს ყოფილ უფროსს, კოჩერგინს ივანე ანდრიას-ძეს, სარბაის გეოლოგიურ-საძიებო ექსპედიციის მთავარ გეოლოგს, ნიხაკოვს ვიაჩესლავ პეტრეს-ძეს, ურალის გეოფიზიკური ექსპედიციის აერომაგნიტური პარტიის უფროსს, სოკოლოვსკის მაგნიტური ანომალიის პირველ აღმომჩენს, პოატუნინს ვალენტინ კარპის-ძეს, სოკოლოვსკის გეოლოგიურ-საძიებო პარტიის მთავარ გეოლოგს, როდინს ოლეგ თევდორეს-ძეს, სარბაის გეოლოგიურ-საძიებო ექსპედიციის მთავარ ინჟინერს, ხურგუტანოვს მიხეილ გრიგოლის-ძეს, ურალის გეოლოგიური სამმართველოს აეროპარტიის მფრინავს, სარბაის რკინის მადნის საბადოს პირველ აღმომჩენს, — ყაზახეთის სარბაის და სოკოლოვსკის ჯგუფების რკინის მადნის საბადოს აღმოჩენისა და ძიებისათვის.

9. ბლოხინცევს დიმიტრი ივანეს-ძეს, ატომგულის საკვლევი საერთაშორისო ინსტიტუტის დირექტორს, დოლეჟალს ნიკოლოზ ანტონის-ძეს, სამეცნიერო-საკვლევი ინსტიტუტის დირექტორს და მთავარ კონსტრუქტორს, კრასინს ანდრია კაპიტონის-ძეს, სამეცნიერო-საკვლევი ინსტიტუტის დირექტორს, მალიხს ვლადიმერ ალექსანდრეს-ძეს, სამეცნიერო-საკვლევი ინსტიტუტის განყოფილების უფროსს, — სსრ კავშირში პირველი ატომის ელექტროსადგურის შექმნისათვის.

10. ბაკულევს ალექსანდრე ნიკოლოზის-ძეს, სსრ კავშირის მედიცინის მეცნიერებათა აკადემიის ნამდვილ წევრს, — გულისა და მაგისტრალურ სისხლძარღვთა შეძენილ და თანდაყოლილ დაავადებათა მეცნიერული კვლევის ორგანიზაციისათვის, ქირურგიული მკურნალობის მეთოდების შემუშავებისა და სამკურნალო დაწესებულებათა პრაქტიკაში მათი დანერგვისათვის.

ვ. ი. ლენინის ძეგლი თბილისში — ლენინის მოედანზე

Ленин в Тбилиси

Сияет солнце в поднебесной выси,
Сегодня солнечным апрельским днем
Родной Ильич в моем родном Тбилиси,
Великий Ленин в городе моем.

На улицах весенних оживленье,
Сияют горы в дали голубой.
Вот он стоит на скромном возвышенье
Привычный, гениальный и простой.

Учитель, друг и вождь он с нами вместе,
Он с каждым годом ближе и родней,
О мудрости его поются песни
По всей великой Родине моей.

Сияет солнце в поднебесной выси,
Сегодня солнечным апрельским днем
Родной Ильич в моем родном Тбилиси,
Великий Ленин в городе моем.

ГЕОРГИЙ ОГНЕВ

ლიტერატურისა და ხელოვნების დარგში ყველაზე თვალსაჩინო მიღწევებისათვის ლენინური პრემიების მინიჭების შესახებ

ლიტერატურისა და ხელოვნების დარგის ლენინური პრემიების კომიტეტმა დაადგინა მიენიჭოთ 1957 წლის ლენინური პრემიები ლიტერატურის, მუსიკის, სახვითი ხელოვნების ყველაზე თვალსაჩინო ნაწარმოებებისათვის და თეატრალური ხელოვნების მოღვაწეთა ყველაზე თვალსაჩინო მიღწევებისათვის:

1. კონენკოვს სერგი ტიმოთეს-ძეს — ქანდაკებისათვის „ავტოპორტრეტი".
2. ლეონოვს ლეონიდე მაქსიმეს-ძეს — რომანისათვის „რუსეთის ტყე".
3. მუსა ჯალილს — ლექსთა ციკლისათვის „მოაბიტის რვეული".
4. პროკოფიევს სერგი სერგის-ძეს — მეშვიდე სიმფონიისათვის.
5. ულანოვას გალინა სერგის ასულს — თვალსაჩინო მიღწევებისათვის საბალეტო ხელოვნების დარგში.

ეპოქის შემქმნელი ნაწარმოები

(ლენინის „აპრილის თეზისების" 40 წლისთავი)

1917 წლის თებერვლის ბურჟუაზიულ-დემოკრატიულმა რევოლუციამ გაიმარჯვა. მეფის ხელისუფლება დამხობილ იქნა და შეიქმნა მუშათა და ჯარისკაცთა დეპუტატების საბჭოები. მაგრამ რუსეთის პროლეტარიატის ნაკლები ორგანიზებულობისა და შეგნებულობის გამო ძალაუფლება გადავიდა არა მუშათა და ჯარისკაცთა დეპუტატების საბჭოების ხელში, არამედ ბურჟუაზიული დროებითი მთავრობის ხელში. დროებითი მთავრობისა, რომელმაც თავის საგარეო და საშინაო პოლიტიკაში მეფის მთავრობის ხაზი განაგრძო. მან ვერ დააკმაყოფილა და ვერც შეეძლო დაეკმაყოფილებინა ხალხის მოთხოვნები.

საჭირო იყო თებერვლის რევოლუციის შემდეგ შექმნილ რთულ ვითარებაში სწორი გარკვევა. პარტიისათვის, პროლეტარიატისათვის ახალი ორიენტაციის მიცემა, სტრატეგიული და ტაქტიკური გეზის დასახვა. ეს ისტორიული ამოცანა ბრწყინვალედ გადაჭრა კომუნისტური პარტიის დიდმა ბელადმა ვ. ი. ლენინმა.

ვ. ი. ლენინი ხანგრძლივი გადასახლების შემდეგ 1917 წ. 3 აპრილს რუსეთში დაბრუნდა და 4 აპრილს გამოვიდა თავისი ცნობილი „აპრილის თეზისებით".

ვ. ი. ლენინის ჩამოსვლა ემიგრაციიდან და „აპრილის თეზისების" გამოქვეყნება გადამწყვეტი მომენტია ჩვენი პარტიის ისტორიაში. ლენინმა ამ ბრწყინვალე ნაწარმოებში მოგვცა რუსეთის ბურჟუაზიულ-დემოკრატიული რევოლუციის სოციალისტურ რევოლუციაში გადაზრდის ყოველმხრივ მოფიქრებული და დამუშავებული გენიალური გეგმა. ლენინმა აქ პ ი რ ვ ე ლ ა დ ჩამოაყალიბა გამარჯვებული სოციალისტური რევოლუციის უველა ძირითადი კონკრეტული ამოცანა.

ეკონომიურ დარგში ლენინს აუცილებლად მიაჩნდა მემამულეთა მთელი მიწის კონფისკაცია, სახელმწიფოში არსებული ყველა მიწის ნაციონალიზაცია და მისი გადაცემა მოჯამაგირეთა და გლეხთა დეპუტატების ადგილობრივი საბჭოების განკარგულებაში; ყველა ბანკის შეერთება ერთ ნაციონალურ ბანკად და მასზე მუშათა დეპუტატების საბჭოს კონტროლის დაწესება; პროდუქტების წარმოებასა და განაწილებაზე საყოველთაო-სახალხო კონტროლის შემოღება.

პოლიტიკურ დარგში ლენინმა თეზისებში წამოაყენა საბჭოების რესპუბლიკის შექმნის მოთხოვნა. მან გაბედულად უარყო მარქსისტი თეორეტიკოსების მიერ პარლამენტარული რესპუბლიკის საუკეთესო ფორმად მიჩნევა და კაპიტალიზმიდან სოციალიზმზე გარდამავალ პერიოდში პროლეტარიატის დიქტატურის ყველაზე მიზანშეწონილ ფორმად საბჭოების რესპუბლიკა აღიარა. ლენინის ეს აღმოჩენა უდიდესი თეორიული და პრაქტიკულ-ისტორიული მნიშვნელობის აღმოჩენაა, რომლის სისწორე ბრწყინვალედ დაადასტურა საბჭოთა სახელმწიფოს არსებობის 40 წლის ისტორიამ.

აღიარა რა საბჭოები საზოგადოების პოლიტიკური ორგანიზაციის ყველაზე მიზანშეწონილ ფორმად, ლენინმა მოგვცა რუსეთში იმ დროს არსებული საბჭოების მიმართ ბოლშევიკური პარტიის ტაქტიკა. ლენინი თეზისებში მიუთითებდა, რომ ბოლშევიკთა პარტია საბჭოებში უმცირესობას შეადგენს. უმრავლესობას ესერები და მენშევიკები წარმოადგენენ, ამიტომ საბჭოები დროებით მთავრობას მიუყვებიან. ასეთ ვითარებაში ბოლშევიკური პარტიის ამოცანაა განწიოს მასებში ახსნა-განმარტებითი მუშაობა, მიიზიდოს ისინი და დაარწმუნოს დროებითი მთავრობის პოლიტიკის ანტისახალხო ხასიათში, კრიტიკის ქარცეცხლში გაატაროს ესერ-მენშევიკთა მავნებლური ტაქტიკა და ამ გზით უმრავლესობა მოიპოვოს საბჭოებში, ამით კი შეცვალოს მთავრობის შემადგენლობა და პოლიტიკა. ლენინის მიერ მოცემული ეს გეზი რევოლუციის მშვიდობიანი განვითარების გეზი იყო.

ვ. ი. ლენინმა აპრილის თეზისებში წამოაყენა პარტიული მშენებლობის საკითხები. ლენინი მოითხოვდა პარტიის ყრილობის დაუყოვნებლივ მოწვევას; პარტიის პროგრამის შეცვლას და პარტიის სახელწოდების გამოცვლას. II ინტერნაციონალისა და მენშევიკების მიერ შეურაცხყოფილი სახელწოდება — სოციალ-დემოკრატიული — ლენინის წინადადებით უნდა შეცვლილიყო კომუნისტურით.

„აპრილის თეზისებში" ლენინმა წამოაყენა ახალი, სოციალ-შოვინიზმისაგან თავისუფალი, III კომუნისტური ინტერნაციონალის მოთხოვნა. ამ მოთხოვნის შესაბამისად III ინტერნაციონალი შეიქმნა 1919 წ. და იარსება 24 წლის განმავლობაში. მან შეასრულა გადამწყვეტი როლი საერთაშორისო მუშათა მოძრაობის ისტორიაში.

ბოლშევიკების პარტიამ ლენინის „აპრილის თეზისები" უდიდესი კმაყოფილებით მიიღო და მუშაობა გააჩაღა მასში წამოყენებული დებულებების განხორციელებისათვის. „აპრილის თეზისები" დაედო საფუძვლად ბოლშევიკების VII (აპრილის) კონფერენციას, რომელმაც აიღო გეზი სოციალისტური რევოლუციის გამარჯვებისაკენ.

ვ. ი. ლენინის „აპრილის თეზისების" გენიალური დებულებებით და დასკვნებით შეიარაღებულმა ბოლშევიკურმა პარტიამ მტკიცედ დარაზმა რუსეთის პროლეტარიატი და ღარიბი გლეხობა სოციალისტური რევოლუციისათვის. რუსეთის პროლეტარიატმა ღარიბ გლეხობასთან კავშირში ბოლშევიკური პარტიის ხელმძღვანელობით 1917 წ. ოქტომბერში სამუდამოდ დაამხო ბურჟუაზიის ხელისუფლება და დაამყარა პროლეტარიატის დიქტატურა.

შ. ჯაჯუა

გამოფენა უნივერსიტეტის სამეცნიერო ბიბლიოთეკაში

ჩვენი უნივერსიტეტის სამეცნიერო ბიბლიოთეკამ მოაწყო ვლადიმერ ილიას-ძე ლენინის დაბადებიდან 87-ე წლისთავისადმი მიძღვნილი გამოფენა. ლამაზად გაფორმებულ სტენდებზე წარმოდგენილია კაცობრიობის დიდი გენიის — უკვდავი ილიჩის ბავშვობისა და ყრმობის ამსახველი მასალები. გამოფენაზე დიდი ადგილი აქვს დათმობილი ბელადის ცხოვრებისა და რევოლუციური მოღვაწეობის ამსახველ ფოტოდოკუმენტებსა და მდიდარ ლიტერატურას, საბჭოთა კავშირის გამოჩენილი სახელმწიფო მოღვაწეების, აგრეთვე ვლადიმერ ილიას-ძის ნათესავებისა და მეგობრების საინტერესო მოგონებებსა და წერილებს მშრომელი კაცობრიობის დიდი ბელადის შესახებ.

გამოფენას, რომელიც თვალსაჩინო ადგილასაა მოწყობილი, ყოველდღე დიდი ინტერესით ეცნობიან უნივერსიტეტის პროფესორ-მასწავლებლები და სტუდენტები.

მომხიბვლელი ექსპონატები

ვ. ი. ლენინის დაბადების 87-ე წლისთავთან დაკავშირებით განსაკუთრებით გაიზარდა ექსკურსანტების ნაკადი ვ. ი. ლენინის ცენტრალური მუზეუმის თბილისის ფილიალში, რომელიც 1938 წლიდან არსებობს. 18 წლის მანძილზე მუზეუმი და მისი განყოფილებები 5 მილიონზე მეტმა კაცმა დაათვალიერა. მუზეუმის დარბაზებში მოეწყო 90 ათასზე მეტი ლექცია-ექსკურსია.

მუზეუმის 21 დარბაზში წარმოდგენილია 2.000-ზე მეტი სხვადასხვა ექსპონატი. ეს არის ლენინის ხელნაწერთა ფოტოპირები, ვ. ი. ლენინის თხზულებათა პირველი გამოცემების ორიგინალები, იშვიათი ფოტოსურათები, სურათები, ქანდაკებანი, ფურცლები, გაზეთები და ჟურნალები — ვ. ი. ლენინის სტატიებით.

გადადის რა ერთი დარბაზიდან მეორეში, მნახველი ნათლად ხედავს ვლადიმერ ილიას-ძის ცხოვრებას, რომელიც მან მთლიანად შესწირა ხალხის სამსახურს.

1895 წლის დეკემბერში ვ. ი. ლენინი დააპატიმრეს და 15 თვის პატიმრობის შემდეგ ციმბირს გადაასახლეს. გადასახლებიდან დაბრუნების შემდეგ 1900 წლის თებერვალში იგი შეუდგა პარტიის შექმნის გეგმის რეალიზაციას. ამ გეგმის განხორციელებაში პირველი ნაბიჯი იყო გაზეთ „ისკრის" შექმნა. ლენინური გაზეთის „ისკრის" პირველი ნომრების ორიგინალები ექსპონირებულია მუზეუმის დარბაზებში. აქვეა მარქსისტული გაზეთის „ბრძოლის" ეგზემპლარები, რომლის გამოშვებაც მოაწყეს ქართველმა ლენინელმა რევოლუციონერებმა—ლ. კეცხოველმა, ი. სტალინმა და სხვებმა.

პარტიის II ყრილობისადმი მიძღვნილ განყოფილებაში მნახველი განსაკუთრებული ყურადღებით ათვალიერებს ვ. ი. ლენინის იმ ჩანაწერების შავს, რომლებიც მან პარტიის წესდების I პარაგრაფის შესახებ კამათის დროს გაუკეთებია.

მღელვარე გრძნობებს აღუძრავს მნახველებს მუზეუმის იმ დარბაზების ექსპოზიცია, რომელიც ასახავს დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის მომზადებასა და მის ძლევამოსილად გატარებას. მნახველები მღელვარებით კითხულობენ ლენინური მიმართვის სიტყვებს „რუსეთის მოქალაქეებისადმი", რომელიც დაწერილია 1917 წლის 25 ოქტომბერს (7 ნოემბერს) და რომელმაც მსოფლიოს აუწყა სოციალისტური რევოლუციის გამარჯვება და საბჭოთა სახელმწიფოს შექმნა.

მუზეუმის ექსპონატები უჩვენებენ მნახველებს სსრ კავშირში სოციალიზმის მშენებლობის გრანდიოზულ ლენინურ გეგმას.

თავისი უკანასკნელი სიტყვა მოსკოვის საბჭოს პლენუმზე 1922 წლის 20 ნოემბერს ლენინმა დაამთავრა სიტყვებით: „ნეპის რუსეთი სოციალისტური რუსეთი გახდება".

საბჭოთა ხალხმა შეასრულა თავისი ბელადის ანდერძი. სსრ კავშირის მშრომელებმა კომუნისტური პარტიის წინამძღოლობით, განუხრელად მიჰყვებოდნენ რა ლენინის გზას, პრაქტიკულად განახორციელეს ჩვენს ქვეყანაში სოციალიზმის აშენების გეგმა და ძლევამოსილად მიდიან კომუნიზმის გამარჯვებისაკენ.

მუზეუმის დოკუმენტები მოგვითხრობენ, თუ როგორ იბრძოდა ლენინი მშვიდობისათვის, ხალხთა თანამშრომლობისათვის.

ლენინიზმი ყოვლისმძლე, მძლავრი მოძღვრებაა. საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის XX ყრილობამ კიდევ უფრო აამაღლა ლენინიზმის დიადი დროშა, რომლის იდეები ახლა კაცობრიობის თითქმის ნახევრისათვის საზოგადოებრივი განვითარების საფუძველია.

ბოლშევიზმი ტაქტიკის ნიმუშია ყველასათვის,—დიდი ლენინის ეს ბრძნული მითითება ჩაუქრობელი სინათლით უნათებენ გზას ყველა ქვეყნის კომუნისტებს.

(საქდესი).

გალაკტიონ ტაბიძე

ოქტომბრის სიმფონია

(ნაწყვეტი)

ომით გაპარტახებული,
აღარ მქონე თმენის,
მრავალმილიონიანი
მასა უცდის ლენინს.
წითელ დროშის ქვეშ
საომრად მდგარი,
მომწყრე მრავალის დღეების ბნელის,
ფაბრიკათ რიგი, ქარხნების ჯარი —
უცდიან ლენინს.
მილიონობით დამშეულ რიგებს
ამაოდ ხელი არ გაუწვდიათ,
არ მოელიან არსაიდან შველას —
ლენინს უცდიან.
რასა მგავს ყანა და ფარეხები!
რამ დაგვიმსგავსა სიცოცხლის დღენი?
ღარიბ-ღატაკი სოფლის გლეხები
უცდიან ლენინს.
ფრონტიც მზად არის
შეატრიალოს ტყვია სიზუსტით
კლასობრივ მტერზე იერიშისთვის —
ჩვენ ლენინს ვუცდით.
ეროვნებათა დაჩაგრულთ ბედი,
ბარიკადები ქუჩების ყრცელის,
ჩიხში მოქცეულ რუსეთის ბედთან —
უცდიან ლენინს.
ლენინი მოდის!
პროლეტარიატს ექნება გზა:
სად გამოვიდეს, ვისთან და როდის, —
იმ მატარებლით ქოხთა მშვიდობა
და სასახლეთა გოდება მოდის!
ლენინი მოდის!
მოდის სიკვდილი ბურჟუაზიულ
ციხე-ბორკილის და ეშაფოტის!
იმ მატარებლით მოდის ნამგალი.
იმ მატარებლით ჩაქუჩი მოდის!
ლენინი მოდის!
თავისუფლება და ზავი მოდის!
ამხანაგებო, ლენინი მოდის!
ლენინი მოდის!

ვ. ი. ლენინის სახე ხალხურ შემოქმედებაში

საქართველოს ხალხური შემოქმედების სახლმა, რუსთაველის სახელობის ქართული ლიტერატურის ისტორიის ინსტიტუტმა და საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის ისტორიის ინსტიტუტმა რესპუბლიკის ქალაქებსა და სოფლებში შეაგროვეს მთქმელთა, სახალხო პოეტთა და კომპოზიტორთა სამასზე მეტი ნაწარმოები, რომლებიც ეძღვნება კომუნისტური პარტიისა და მსოფლიოში პირველი სოციალისტური სახელმწიფოს დამაარსებელს — ვ. ი. ლენინს.

ხალხის უსაზღვრო სიყვარული ვლადიმერ ილიას-ძისადმი გამოთქმულია ორჯონიკიძის რაიონის სოფელ ხიდრის კოლმეურნე მთქმელის დ. გურგენიძის ნაწარმოებში „ვ. ი. ლენინის მოედანზე თბილისში".

მთქმელი, წალენჯიხის რაიონის სოფელ მუჟავას კოლმეურნე გ. ბელქანია თავის ნათქვამში „ლენინის ტომი" ლაპარაკობს ლენინური იდეების უკვდავებაზე.

გულში ჩამწვდომი ლექსი „ლენინი—ოქტომბრის ბელადი" დაწერა ქუთაისის ლენინის სახელობის მალარიოსამმართველოს მებაღემ შ. აბაშიძემ. ლექსში ლაპარაკია თავისუფალ ბედნიერ ცხოვრებაზე, რომელიც საბჭოთა ადამიანებს დიდმა ოქტომბრის სოციალისტურმა რევოლუციამ მოუტანა ბრძოლისა და გამარჯვების სახელოვან გზაზე, რომელიც ჩვენმა ხალხმა განვლო კომუნისტური პარტიის ხელმძღვანელობით, ლენინიზმის დროშით.

ვ. ი. ლენინის სახე მკაფიოდ არის აღბეჭდილი ნაწარმოებებში, რომლებიც წარმოდგენილია თბილისის ხალხური შემოქმედების მუზეუმში. ამ ნაწარმოებებში განსახიერებულია ხალხის მხურვალე სიყვარული რევოლუციის გენიალური ბელადისადმი.

თბილისელმა მოსამსახურემ გ. ავალიშვილმა, რომელიც ხეზე ჩუქურთმის ხელოვნებას ფლობს, ვ. ი. ლენინი გამოკვეთა რაზლივში ყოფნის პერიოდში.

ვლადიმერ ილიას-ძის ახლობელი და ძვირფასი სახე წარმოგვიდგება ვერცხლზე ამოკვეთილ პორტრეტში, რომელიც თბილისელმა დიასახლისმა ე. კაკალაშვილმა შეასრულა.

ვ. ი. ლენინის ბარელიეფი მარმარილოსაგან შექმნა ქუთაისელმა მუშამ ი. ბატრაკოვმა.

მუზეუმის დამთვალიერებლები ინტერესით ეცნობიან სხვა ნაწარმოებებსაც, რომლებიც წარმოსახავენ ვ. ი. ლენინის ცხოვრებისა და რევოლუციური მოღვაწეობის ცალკეულ ეპიზოდებს. (საქდესი).

ვ. ი. ლენინის ცენტრალური მუზეუმი

ვ. ი. ლენინი მუშათა კლასის როლის შესახებ სოციალისტურ საზოგადოებაში

მარქსიზმ-ლენინიზმი პირველად გვიჩვენებს პროლეტარიატის მსოფლიო-ისტორიულ როლს, მეცნიერული სიზუსტით გვიჩვენებს პროლეტარიატის, როგორც სოციალისტური საზოგადოების შემოქმედის ისტორიულ დანიშნულებას. ეს კი ძირეულ გადატრიალებას წარმოადგენს საზოგადოებრივი აზრის ისტორიაში.

მარქსიზმ-ლენინიზმმა აღმოაჩინა რა კაპიტალისტური საზოგადოების განვითარების კანონები, მეცნიერულად დაამტკიცა, რომ კაპიტალისტური საზოგადოების განვითარებასა და ამ საზოგადოებაში კლასობრივ ბრძოლას უნდა მოჰყვეს კაპიტალიზმის დამხობა, პროლეტარიატის გამარჯვება, პროლეტარიატის დიქტატურა. მარქსისტულ-ლენინური მოძღვრება პროლეტარიატის დიქტატურის შესახებ უშუალოდ გამომდინარეობს პროლეტარიატის მსოფლიო-ისტორიული როლის გარკვევიდან. ლენინი ხაზს უსვამს რა მარქსიზმის ამ ორ დებულებას შორის შინაგან და განუყრელ კავშირს, აღნიშნავს, რომ პროლეტარიატის დიქტატურის აღიარება მჭიდროდ და განუყრელად დაკავშირებულია მარქსიზმის მოძღვრებასთან ისტორიაში პროლეტარიატის რევოლუციური როლის შესახებ.

დიდი ლენინი გვასწავლის, რომ პროლეტარიატის დიქტატურის უმაღლესი პრინციპია მუშათა კლასისა და გლეხობის კავშირი — მუშათა კლასის ხელმძღვანელი როლით. იგი წარმოადგენს იმ რევოლუციურ ძალას, რომელიც აუცილებელია საზოგადოების რევოლუციური გარდაქმნისათვის, მომაკვდავი კაპიტალისტური წყობილების მოსპობისა და ახალი, სოციალისტური წყობილების დამყარებისათვის.

პროლეტარიატში თავის მსოფლიო-ისტორიული როლის შეგნება შეაქვს პარტიას. ეყრდნობოდა რა მარქსისა და ენგელსის იდეებს, ლენინმა შეიმუშავა მოძღვრება პარტიის, როგორც პროლეტარიატის კლასობრივი ორგანიზაციის უმაღლესი ფორმის შესახებ, რომლის გარეშეც შეუძლებელია პროლეტარიატის დიქტატურის განხორციელება, სოციალიზმის, კომუნიზმის აშენება. ლენინის მიერ შექმნილმა და გამოწრთობილმა კომუნისტურმა პარტიამ შეასრულა ჩვენი გმირული მუშათა კლასის მებრძოლი ავანგარდის როლი. იგი არის მისი მსოფლიო-ისტორიული გამარჯვებების ორგანიზატორი და სულისჩამდგმელი. საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ხელმძღვანელობით ჩვენი ქვეყნის მუშათა კლასმა შეასრულა რა თავისი მსოფლიო-ისტორიული როლი, გახდა დამწყები ბრიგადა მსოფლიო კომუნისტურ მოძრაობაში; მან მშრომელ გლეხობასთან კავშირის განმტკიცებით შექმნა მშრომელთა პირველი სახელმწიფო მსოფლიოში და სათავეში ჩაუდგა ხალხთა მასების ბრძოლას სოციალიზმის მშენებლობისათვის.

საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ხელმძღვანელობით სსრ კავშირის მუშათა კლასმა უმოკლეს ხანში განახორციელა ქვეყნის ინდუსტრიალიზაციის ლენინური პროგრამა და ქვეყნის ინდუსტრიალიზაციის წარმატების საფუძველზე იგი სათავეში ჩაუდგა სოფლის მეურნეობის სოციალისტურად გარდაქმნის ლენინური პროგრამის განხორციელებას, რის შედეგადაც ჩვენი ქვეყანა ტექნიკურ-ეკონომიურად ჩამორჩენილი და აგრარული ქვეყნიდან უმოკლეს დროში გადაიქცა მოწინავე ინდუსტრიულ და მსხვილი მექანიზებული სოფლის მეურნეობის ქვეყნად.

ყოველივე ამის შედეგად ჩვენი ქვეყნის მუშათა კლასი შეიქმნა ჭეშმარიტად ყოვლისმძლე პატრიოტიზმის, პროლეტარული ინტერნაციონალიზმის, ხალხთა მეგობრობის, მოწინავე კულტურის მატარებელი. ჩვენი პარტია იცავს რა ყველა ქვეყნის მშრომელთა მეგობრობისა და ძმური თანამშრომლობის ლენინურ პრინციპს, გადაჭრით იბრძვის, როგორც ნაციონალიზმის, ისე დიდმპყრობელური შოვინიზმის წინააღმდეგ.

კაპიტალიზმის დამხობის შემდეგ ახლებურად ვლინდება მუშათა კლასის როლი პოლიტიკური ცხოვრების სფეროში. სოციალისტური რევოლუციის გამარჯვების შედეგად მშრომელი ხალხის წინაშე ფართოდ გადაიხსნა ახალი ისტორიული მოღვაწეობის ასპარეზი. ისტორიის შემოქმედი—ხალხი—ახალი სახელმწიფოებრივი წყობილების მშენებელ ხალხად გადაიქცა.

საბჭოთა კავშირის მუშათა კლასს გადამწყვეტი როლი ეკუთვნის საბჭოთა სახელმწიფოს შექმნასა და განვითარებაში. საბჭოთა სახელმწიფოებრივი აპარატის მთელს სისტემაში — დაწყებული ადგილობრივი საბჭოებიდან და დამთავრებული სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოთი — ხელმძღვანელ როლს მუშათა კლასი ასრულებს.

კომუნისტური პარტიისა და საბჭოთა სახელმწიფოს დამაარსებელი და ბელადი ვ. ი. ლენინი ყოველთვის განსაკუთრებულ მნიშვნელობას ანიჭებდა პარტიის როლს საბჭოთა სახელმწიფოში და სოციალისტური მშენებლობის მსვლელობისადმი ხელმძღვანელობაში. ლენინი ზუსტად იცავდა და ყველასაგან მოითხოვდა პარტიული ცხოვრების ნორმებისა და ხელმძღვანელობის პრინციპების დაცვას, ნორმებისა და პრინციპებისა, რომლებიც პარტიამ დიდი გამოცდილების საფუძველზე შეიმუშავა. უმთავრესი ამ პრინციპებში არის ხელმძღვანელობის კოლექტიურობა, რომელიც გამომდინარეობს თვით პარტიის ბუნებიდან. პარტიისა, რომელსაც საფუძვლად უდევს დემოკრატიული ცენტრალიზმი, სადაც პარტიის წევრთა აქტივობა და ინიციატივა შეხამებულია რკინისებურ დისციპლინასთან. ლენინი აღნიშნავდა, რომ რევოლუცია წამოაყენებს „კოლექტიურ ორგანიზაციულ ტალანტს, ურომლისოდაც პროლეტარების მილიონიანი არმიები ვერ მიაღწევენ გამარჯვებას".

სახალხო დემოკრატიის გამარჯვებამ ახალი ფურცელი ჩაწერა მუშათა კლასის განმათავისუფლებელი მოძრაობის ისტორიაში. ამჟამად მუშათა კლასი სახალხო დემოკრატიის ქვეყნებში აშენებს რა სოციალიზმს, ატარებს სოციალისტურ ინდუსტრიალიზაციას და სოფლის მეურნეობის კოოპერირებას. აღნიშნული ქვეყნების მუშათა კლასმა შექმნა საკუთარი საწარმოო-ტექნიკური ინტელიგენცია. მიმდინარეობს მუშათა კლასის კულტურული დონის სწრაფი ამაღლება.

ომისშემდგომ პერიოდში მუშათა მოძრაობა კიდევ უფრო განმტკიცდა, გადაიქცა ძლიერ საზოგადოებრივ ძალად. ლენინი ჯერ კიდევ 48 წლის წინათ ამბობდა, რომ „...მუშათა კლასის ხელთაა ომისა და მშვიდობის საკითხის გადაწყვეტა". ლენინის ეს სიტყვები განსაკუთრებით აქტუალურია დღეს, რადგან თანამედროვე მუშათა კლასი განუზომლად უფრო დიდი ძალაა, ვიდრე წინად იყო. სკკპ XX ყრილობამ ხაზი გაუსვა, რომ მუშათა კლასის გათიშვის დაძლევა, მისი ერთიანობის დაცვა, მისი პარტიებისა და ორგანიზაციების თანამშრომლობა და კონტაქტები — ეროვნული და საერთაშორისო მასშტაბით — თანამედროვეობის ერთ-ერთი აქტუალური საკითხია.

სოციალიზმიდან კომუნიზმში თანდათანობითი გადასვლის პერიოდში მუშათა კლასის სოციალისტური შეგნებულობის ზრდასთან ერთად უდიდესი მნიშვნელობა აქვს სოციალისტური იდეოლოგიის განვითარებას. სკკპ მთელ თავის საქმიანობაში უდიდეს მნიშვნელობას აძლევდა და აძლევს სოციალისტური იდეოლოგიის განვითარებას, მის შეტანას მუშათა მოძრაობაში. ლენინმა გამანადგურებელი ლახვარი ჩასცა რა სტიქიურობის ოპორტუნისტულ თეორიას, დაამტკიცა, რომ სოციალისტურ იდეოლოგიას, რომელიც ეუფლება მშრომელთა შეგნებას, შეუძლია ითამაშოს უდიდესი როლი საზოგადოების პრაქტიკულ-რევოლუციურ გარდაქმნაში. მარქსიზმ-ლენინიზმის ყოვლისმძლე იდეოლოგიით შეიარაღებული კომუნისტური და მუშათა პარტიების ხელმძღვანელობით მუშათა კლასს — რევოლუციურ მასებს — საზოგადოების განვითარება კომუნიზმისაკენ მიჰყავთ.

ვ. ქალანდარიშვილი

ღლისით, მზიან ამინდში

აპრილის თვეა, ნაგრამ მზეს ჟელისის მცხუნვარება აქვს. ეს მოვლენა ზოგში უბრალო გაკვირვებას იწვევს, ზოგი კი, მაგალითად, მექანიკა-მათემატიკის ფაკულტეტის ასტრონომიული განყოფილების III კურსის სტუდენტები მარტო გაკვირვებით არ კმაყოფილდებიან. ისინი ამ მოვლენას მეცნიერული დაკვირვების გზით სწავლობენ.

სურათზე თქვენ ხედავთ აღნიშნული კურსის 144-ე ჯგუფის სტუდენტებს, რომლებიც ზოგადი ასტრონომიის კათედრის ასისტენტის გ. კვირკველიას ხელმძღვანელობით უნივერსალური იარაღით აკვირდებიან მზეს გეოგრაფიული კოორდინატის გაზომვის მიზნით.

ფოტო ვ. კახრამისა

ქალაქის გამწვანებაზე

თბილისის მიდამოების გამწვანების საქმეში უნივერსიტეტის მთელ კოლექტივთან ერთად აქტიური მონაწილეობა მიიღეს სტამბა-გამომცემლობის მუშა-მოსამსახურეებმაც. მათ შორის უნდა აღინიშნოს ვ. გურგენიძის, ე. დეკანოსიძის, გ. გელაშვილის, ვ. გორგაძის, გ. მაჭავარიანის, ა. ელიზბარაშვილისა და სხვათა დაუზარელი მუშაობა, რომელთაც 10-10 ორმო ამოთხარეს.

სურათზე: სტამბა-გამომცემლობის მუშა-მოსამსახურეთა ერთი ჯგუფი მცენარეთა დასარგავი ორმოების ამოღების დროს.

ფოტო გ. ჟოჟუასი

დამთავრდა საუნივერსიტეტო ფესტივალი

მასობრივი კარნავალი დასკვნითი კონცერტი

დამთავრდა ჩვენი უნივერსიტეტის სტუდენტი-ახალგაზრდობის ზეიმი — პირველი საუნივერსიტეტო ფესტივალი.

უნივერსიტეტის სპორტულ დარბაზებში, მოედნებზე თუ საქტო დარბაზის სცენაზე ერთმანეთს ეჯიბრებოდნენ ჩვენი საუკეთესო სპორტსმენები, მხატვრული თვითმოქმედი კოლექტივები, ინდივიდუალური შემსრულებლები. 14 აპრილს, საღამოს, საფესტივალო საღამო-კარნავალზე მრავალმა სტუდენტმა მოიყარა თავი.

ვესტიბიული საზეიმოდაა მორთული ფერად-ფერადი ქაღალდების გირლიანდებით, თრთვლივ ილვრება ნაირფეროვანი ნათურების შუქი, უკრავს საესტრადო ორკესტრი. მუსიკის ხმაზე ლაღად ტრიალებენ ორიგინალურ ნიღბებში გამოწყობილი წყვილები.

„ყველანი საქტო დარბაზში"—აცხადებს რადიო. იწყება ფესტივალზე გამარჯვებულთა დაჯილდოება. საფესტივალო ჟიური ახდენს გამარჯვებულებზე პირველი საუნივერსიტეტო ფესტივალის ლაურეატობის ნიშნების, სიგელების და ფასიანი საჩუქრების გადაცემას. ფასიანი საჩუქრებით და სიგელებით ჯილდოვდებიან აგრეთვე ფესტივალის მომზადება-ჩატარებაში აქტიურად მონაწილე პროფესორ-მასწავლებლები და დამხმარე ტექნიკური პერსონალი.

მხიარულება გრძელდება. იწყება მასკარადი, მოეწყო ვიქტორინაში გამარჯვებულთა დაჯილდოება. საღამოს დასასრულს საქტო დარბაზში შედგა საფესტივალო ლატარეის გათამაშება.

16 აპრილს ზ. ფალიაშვილის სახელობის თბილისის ოპერისა და ბალეტის თეატრში ჩატარდა პირველი საუნივერსიტეტო ფესტივალის დასკვნითი კონცერტი, რომელსაც დედაქალაქის საზოგადოებრიობასთან ერთად ესწრებოდა საქართველოში სტუმრად მყოფი დელეგაცია ალბანეთის სახალხო დემოკრატიული რესპუბლიკიდან.

კონცერტმა, რომელიც სამ განყოფილებად ჩატარდა მაყურებელთა გულწრფელი აღტაცება გამოიწვია. სტუდენტ-შემსრულებლებმა კონცერტზე დამსწრე საზოგადოება მოხიბლეს თავიანთი მხატვრული თვითმოქმედების ჩვენებით.

რ. ჩაჩუა

სპორტულ ბილიკებზე

ათი ფაკულტეტის მოცურავეები იბრძოდნენ I საუნივერსიტეტო ფესტივალის ჩემპიონობისათვის. შეჯიბრების პირველ დღესვე ფილოლოგიის ფაკულტეტის მოცურავეთა გუნდი დაწინაურდა. ამ გუნდის წარმომადგენელმა თ. დუბინსკაიამ 100 მეტრზე თავისუფალი სტილით ცურვაში ყველას აჯობა და ჩემპიონის სახელი მოიპოვა. მის შემდეგ ფინიშთან პირველი მივიდა იმავე ფაკულტეტის სტუდენტი მ. ბუაძე.

მაყურებელთა და ყველა მონაწილის ინტერესი გამოიწვია 100 მეტრზე ბრასით ცურვამ ქალთა შორის. ამ ასპარეზობაში ყველას ფილოლოგიის ფაკულტეტის II კურსის სტუდენტმა, უნივერსიტეტის რეკორდსმენმა მ. ბუაძემ აჯობა. მეორე ადგილზე გამოვიდა დასავლეთ ევროპის ენებისა და ლიტერატურის ფაკულტეტის I კურსის სტუდენტი ნ. ქურდიანი.

ვაჟთა შორის 100 მეტრზე თავისუფალი სტილით ცურვაში ბევრი გულშემატკივარი გაახარა გეოგრაფია-გეოლოგიის ფაკულტეტის V კურსის სტუდენტის თ. კუხიანიძის ფინიშმა, რომელიც ცურვის ამ სახეში ფესტივალის ჩემპიონი გახდა (უნდა აღინიშნოს, რომ თ. კუხიანიძეს ეკუთვნის აგრეთვე საუნივერსიტეტო რეკორდები თავისუფალი სტილით 100 მეტრზე და 1500 მეტრზე ცურვაში). მეორე საპრიზო ადგილზე გამოვიდა ფიზიკის ფაკულტეტის სტუდენტი ზ. რაზმაძე. ვაჟთა შორის ზურგზე ცურვაში პირველი ადგილი მოიპოვა ქიმიის ფაკულტეტის III კურსის სტუდენტმა დ. უგრეხელიძემ. იმავე ფაკულტეტის სტუდენტმა გ. ზნამენსკიმ ჩემპიონობა დაისაკუთრა 100 მეტრზე ბრასით ცურვაში.

შეჯიბრების მეორე დღეს უფრო მეტმა მაყურებელმა მოიყარა თავი დინამოს ზამთრის აუზში. ამ დღეს უნდა გადაწყვეტილიყო პირველობის ბედი. შეჯიბრების პროგრამაში კი მარტო ამანათცურვა იყო დარჩენილი. პირველად ქალთა ამანათცურვას (4X50) მიეცა სტარტი: გაიმარჯვა ფილოლოგიის ფაკულტეტის გუნდმა შემდეგი შემადგენლობით: თ. დუბინსკაია, მ. ბუაძე, ნ. ხუციშვილი, ნ. ლოგაძე. მეორე ადგილზე გამოვიდნენ ფიზიკოსები, მესამეზე — გეოგრაფია-გეოლოგიის ფაკულტეტის მოცურავეები.



I საუნივერსიტეტო ფესტივალის ჩემპიონი და უნივერსიტეტის რეკორდსმენი ცურვაში გეოგრაფია-გეოლოგიის ფაკულტეტის V კ. სტუდენტი თ. კუხიანიძე

ვაჟთა შორის, როგორც მოსალოდნელი იყო პირველობისათვის ბრძოლა ძირითადად გეოგრაფია-გეოლოგიის ფაკულტეტისა და ფიზიკის ფაკულტეტის გუნდებს შორის გაიმართა. გაიმარჯვა გეოგრაფია-გეოლოგიის ფაკულტეტის გუნდმა შემდეგი შემადგენლობით — თ. კუხიანიძე, გ. ნადარეიშვილი, ლ. რცხილაძე, გ. სიხარულიძე. მეორე ადგილზეა ფიზიკის ფაკულტეტის გუნდი, ხოლო მესამეზე — ფილოლოგიისა.

საერთო გუნდური ადგილები ასე განაწილდა: I ადგილი დაიკავა ფილოლოგიის ფაკულტეტის მოცურავეთა კოლექტივმა, II ადგილი — ფიზიკის ფაკულტეტისა და III ადგილი — გეოგრაფია-გეოლოგიის ფაკულტეტის გუნდმა. ამრიგად, გეოგრაფია-გეოლოგიის ფაკულტეტის მოცურავეებს დაერღვათ ძველი ტრადიცია; ისინი 4 წლის განმავლობაში უნივერსიტეტის ჩემპიონები იყვნენ.

უნდა ვუსაყვედუროთ ისტორიის ფაკულტეტის ფიზკულტურელ კოლექტივს, რომელმაც ვერ შეძლო შეჯიბრებაზე მოცურავეთა გუნდის გამოყვანა.

ვ. ქასრაძე

ორი სამეცნიერო წრის გაერთიანებული სხდომა

ეკონომიური და იურიდიული ფაკულტეტების სტუდენტთა სამეცნიერო წრეებმა ამასწინათ მოაწყეს გაერთიანებული კონფერენცია თემაზე: „საბჭოთა სოციალისტური სახელმწიფო".

კონფერენციაზე მოსმენილ იქნა შემდეგი მოხსენებები: 1. სოციალისტური საზოგადოების ეკონომიური სტრუქტურა, როგორც სახელმწიფოს ბაზისი (მომხს. ეკონომიური ფაკულტეტის IV კურსის სტუდენტი ა. თეთრაული), 2. საბჭოთა სახელმწიფოს ფუნქციები (მომხს. იურიდიული ფაკულტეტის III კურსის სტუდენტი ვ. ლორია), 3. დაგეგმვა სსრ კავშირში და სახელმწიფოს როლი მის განხორციელებაში (მომხს. ეკონომიური ფაკულტეტის IV კურსის სტუდენტი ა. ლაშხია), 4. საბჭოები, როგორც პროლეტარიატის დიქტატურის სახელმწიფოებრივი ფორმა (მომხს. იურიდიული ფაკულტეტის III კურსის სტუდენტი ა. ჯალაღანია).

მოხსენებებში განხილულმა საკითხებმა დამსწრეთა დიდი ინტერესი გამოიწვია. კონფერენციის მუშაობა შეაჯამა დოც. ს. მრევლიშვილმა.

ეკონომიური და იურიდიული ფაკულტეტების სტუდენტთა სამეცნიერო წრეების ერთობლივი მუშაობის ეს ტრადიცია, რაც კარგა ხანია დამკვიდრდა, სასურველია მომავალშიც განვითარდეს და გაძლიერდეს.

ა. თეთრაული,
პოლიტიკური ეკონომიის სტუდენტთა სამეცნიერო წრის გამგეობის თავმჯდომარე.

ოსური ლიტერატურის წარმოშობის საკითხისათვის

დოც. ტ. რუხაძე

ამ მოკლე ხანში თბილისში წარმატებით ჩატარდა ოსური საბჭოთა ლიტერატურისა და ხელოვნების დეკადა. იგი გახდა ოსი და ქართველი ხალხების ისტორიული მეგობრობისა და ძმობის შესანიშნავი დემონსტრაცია. მაგრამ, ჩვენის აზრით, მასზედ უფრო ფართოდ უნდა ყოფილიყო წარმოდგენილი ოსური ლიტერატურათმცოდნეობა.

ლიტერატურათმცოდნეები დღემდე იმეორებენ მცდარ აზრს იმის თაობაზე, თითქოს ოსური ლიტერატურა კოსტა ხეთაგუროვით იწყება. სამწუხაროდ, ზოგ ისტორიკოსს ნათლად არა აქვს გათვალისწინებული, რომ ოსური და ქართული ლიტერატურა ისტორიულად არიან ერთმანეთთან დაკავშირებული და ოსური ლიტერატურის ხერთიზული შესწავლა ქართული ლიტერატურის გარეშე ხრული არ იქნება.

მაგალითად, მცდარად იყო გაგებული XVIII საუკუნის „ოსთა განათლების კომისიის წევრის" გაიოზ თაყას-ძე (ტაკაო ე ვ) ბარათაშვილის ვინაობა.

გაიოზს, რომელიც რექტორი იყო ირაკლი II-ის კარის სემინარიისა (1782—1784 წწ.), „სამასიოდენ წიგნი დაუწერია ქართულად".

არას ვამბობთ ოსურ ხალხურ ეპოსზე, რაც შედარებით კარგადაა შესწავლილი და რომელსაც წყაროები ქართულში მოეპოვება (მაგალითად, „ოს ბაყათარისა და დავით სოსლანის" ეპოსი);

პირველი ოსი პოეტი ქალის ბორენას (XI ს.) ერთ-ერთი ლექსი ქართულშია შემონახული. ოსთა მეფის ასული ბორენა ბაგრატ IV-ს გამყოლია ცოლად. მას შეუთხზავს მეტად საინტერესო რითმიანი ელეგიური ლექსი ადამიანის წარმავლობასა და ამაოებაზე (გამოქვეყნებულია აკად. ე. თაყაიშვილისა, აკად. კ. კეკელიძისა და დოც. ს. ყუბანეიშვილის მიერ). სპეციალური ლიტერატურა არსებობს აგრეთვე კ. ხეთაგუროვზე ბევრად ადრინდელ ოს პოეტ იოანე იალღუზიძეზე (1770—1830 წწ.). რომელიც რუსულ მასალებში ასე იხსენიება: „Осетинец Ялгузов: человек образованный, пользующегося их (осетинцами Т. Р.) доверенностью".

გამოვლინებულია იალღუზიძის თარგმანები ქართულიდან ოსურ ენაზე (აკად. გ. ახვლედიანი). იოანე იალღუზიძეს ქართულად შეუთხზავს პოემა „ალუსტიან-ალღუზიან-რუხიან-სარაგონ ქახილონი" ანუ, მოკლედ, „ალღუზიანი" და რამდენიმე სახოტბო ლექსი, რომლებიც აგრეთვე უკვე გამოქვეყნებულია.

მომავალ შესწავლას მოითხოვენ მწერლები „ქრისტეფულე ოსი" (XVI-XVII სს.) და „ნეოფინტე ოხუოფილი" (XVIII ს.), რომელთაც მაშინდელი ლიტერატურის ისტორია იხსენიებს. საინტერესოა ის „ქრცხინვალელი მწერალი" („ქრცხინვალი" ცხინვალის ისტორიული სახელია, აწინდელი სტალინირი), რომელსაც შეუთხზავს საინტერესო სახელაპრო-ეპიკური მოთხრობა „ჯიმშერიანი" (XVII-XVIII ს.). ყურადღებას იქცევს, რომ „ქრცხინვალს, ოსეთსა და ფაიქოშში" იწყებდნენ, ან ქმნიდნენ თავის შედევრებს პოეტი არჩილი, ვახტანგ VI და ბევრი სხვა. „ქრცხინვალს" იწყება მოქმედება იოსებ საავაძის „დიდმოურავიანში" (XVII ს.). ჩვენს უნივერსიტეტში აღზრდილებმა უნდა შეისწავლონ „ქართულ-ოსური ლიტერატურული ურთიერთობანი".

ჩვენი სიგნალის შემდეგ

ჩვენი გაზეთის 27 მარტის ნომერში დაბეჭდილი იყო ფოტობრალდება, იმის შესახებ, რომ სტუდენტთა ქალაქში უწესრიგო მდგომარეობაში იყო ჟურნალ-გაზეთების გასაყიდი ჯიხური და სტუდენტობას შესაძლებლობა არ ჰქონდა იქვე შეეძინა ახალი გაზეთი.

სტუდენტთა ქალაქის მმართველი ამხ. გ. პირველი გვაცნობებს, რომ წერილში აღნიშნული მდგომარეობის გამოსასწორებლად მიღებულ იქნა ზომები: „სოიუზპეჩატმა" უკვე მოაწყო ახალი ჯიხური, სადაც ყოველდღიურად იყიდება ჟურნალ-გაზეთები.

რედაქტორი ირ. ვეშაპიძე

ი. ბ. სტალინის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის გამომცემლობის სტამბა-ლითოგრაფია. უნივერსიტეტის ქ. № 1. ტირაჟი 2000. უე 01648.